გახმაურებულ დანაშაულში ბრალდებულებს სასამართლომ განაჩენი გამოუტანა

თბილისის საქალაქო სასამართლომ დაასრულა სისხლის სამართლის საქმის განხილვა ბრალდებულების: ზაზა ხორგუანის, ვლადიმერ ორჯონიკიძის, გიორგი ბარბაქაძის, პაატა გურჩიანის, გიორგი გურჩიანისა და მევლუდ გუჯეჯიანის მიმართ. აღნიშნულ პირებს ბრალად ედებოდათ ყაჩაღობა, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის გამოყენების მუქარით, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნივთის დაუფლების მიზნით, ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ. გიორგი ბარბაქაძესა და პაატა გურჩიანს ასევე, ბრალი დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა, შენახვის გამო წარედგინათ.

საქმის მასალების მიხედვით:

2004 წლის 22 დეკემბერს, ვლადიმერ ორჯონიკიძე, პაატა გურჩიანი, გიორგი გურჩიანი და ზემოაღნიშნული სხვა პირები თბილისში ჭავჭავაძის გამზირზე, ჯგუფურად თავს დაესხნენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებს და პისტოლეტებისა და ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის მუქარით, მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლნენ აღნიშნული სამინისტროს ხანძარსაწინააღმდეგო სამმართველოსათვის განკუთვნილი ხელფასის თანხას. მითვისებული თანხის საერთო რაოდენობამ 131 452 ლარი შეადგინა.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ბრალდებული მევლუდ გუჯეჯიანი წარსულში ნასამართლევია განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის, თუმცა დანშნული სასჯელი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო გადაუვადდა, მიუხედავად ამისა, მან 2004 წელს, კვალავ მძიმე კატეგორიის დანაშაული ჩაიდინა. რაც შეეხება გიორგი გუჯეჯიანს, მას წარსულში ჩადენილი არაერთი მძიმე და განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულისთვის 22 წლით თავისუფლების აღკვეთა ჰქონდა მისჯილი, მაგრამ მან 2003 წელს სასჯელაღსრულების დეპარტამენტიდან გაქცევა მოახერხა.

ღია სასამართლო სხდომაზე საქმის არსებითად განხილვისას ბრალდებულებმა ვ. ორჯონიკიძემ, გ. ბარბაქაძემ და პ. გურჩიანმა სრულად აღიარეს ჩადენილი დანაშაული, გარდა აღიარებითი ჩვენებისა, მათ მიმართ წარდგენილი ბრალდება დადასტურებული იქნა სს საქმეში არსებულ სხვა უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ დამტკიცებული იქნა ბრალის აღიარების საფუძველზე მხარეებს შორის დადებული საპროცესო შეთანხმება. სასამართლოს განაჩენით გ. ბარბაქაძეს დანაშაულთა ერთობლიობით, სასჯელის სახედ და ზომად 3 (სამი) წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა; პაატა გურჩიანს სასჯელის სახედ და ზომად დანაშაულთა ერთობლიობით 7 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა, ასევე დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა 10 000 ლარის ოდენობით; ხოლო ვლადიმერ ორჯონიკიძეს განაჩენთა ერთობლიობით სასჯელის სახედ და ზომად 7 (შვიდი) წლის, 1 (ერთი) თვის და 1 (ერთი) დღის ვადით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა.

რაც შეეხება ზ. ხორგუანს, გ. გურჩიანსა და მ. გუჯეჯიანს, ისინი თავს არიდებენ მართლმსაჯულებას და იმყოფებიან მიმალვაში. შესაბამისად, ისინი სასამართლოს მიერ დაუსწრებლად გასამართლდნენ. ზაზა ხორგუანს სასჯელის სახედ და ზომად 11 (თერთმეტი) წლის და 4 (ოთხი) თვის ვადით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა, ხოლო დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა 5000 ლარის ოდენობით; გიორგი გურჩიანს განაჩენთა ერთობლიობით 31 (ოცდათერთმეტი) წლის, 9 (ცხრა) თვის და 11 (თერთმეტი) დღის ვადით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა, მასვე დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა 6000 ლარის ოდენობით; ხოლო მ. გუჯეჯიანს 12 (თორმეტი) წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა, მასვე დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა 6000 ლარის ოდენობით.

ძებნილ მსჯავრდებულებს სასჯელის ათვლა თავისუფლების აღკვეთის მომენტიდან დაეწყებათ.

ანა სანაძე

შეხვედრა საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებთან

2011 წლის 15 დეკემბერს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კონსტანტინე კუბლაშვილი საქართველოში მოქმედ საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს შეხვდა.

შეხვედრის მიზანი მიმდინარე სასამართლო რეფორმის, სასამართლოს დამოუკიდებლობისა და ბოლო პერიოდში ამ კუთხით განხორციელებული ინსტიტუციონალური და საკანონმდებლო ცვლილებების გაცნობაა.

მსგავსი შინაარსის შეხვედრები 2011 წლის განმავლობაში საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში პერმანენტულ რეჟიმში მიმდინარეობდა.

შეხვედრებზე საუბარი იყო ისეთ თემებზე, როგორიცაა — მოსამართლეთა შერჩევის ახალი კრიტერიუმები, მოსამართლეთა დანიშვნის წესთან დაკავშირებული ცვლილებები, დისციპლინური სამართალწარმოების შედეგების შესახებ ინფორმაციის გაცემა, საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში საქართველოს პრეზიდენტის მიერ დანიშნული წევრებისთვის პოლიტიკური საქმიანობისა და პოლიტიკური გაერთიანების აკრძალვა და ა.შ.

15 დეკემბრის შეხვედრაზე, უკვე უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარესთან, რომელიც იმავდროულად, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეც გახლავთ, შეხვედრის მონაწილეებმა იმსჯელეს იმ წინადადებებსა და რეკომენდაციებზე, რომლებიც მიმდინარე წლის ანალოგიურ შეხვედრებზე დაისვა.

შეხვედრები ამ სფეროში მომუშავე საერთაშორისო ორგანიზაციებთან, არასამთავრობო სექტორთან, ასევე, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებსა და სამოქალაქო საზოგადოების სხვა წარმომადგენლებთან 2012 წლის მანძილზეც გაგრძელდება.

სამტრედიის რაიონული სასამართლო

სასამართლო მდებარეობს ძმები ნინუების ქუჩაზე, №1-ში. სასამართლოს გარემონტებულ და კეთილმოწყობილ შენობაში განთავსებულია სამი სხდომათა დარბაზი, რომელიც განკუთვნილია სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეთა განხილვისთვის.

შენობის პირველ სართულზე განთავსებულია მისაღები, სადაც ხდება მოქალაქეთა განცხადებების მიღება.



საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა, რითაც **განასხვავა ყალბი დასკვნის გაცემისა და ყალბი დოკუმენტის დამზადების დანაშაულები.**

სასამართლო გამოძიებით დადგენილი ფაქტების შესაბამისად, გამომძიებლის დადგენილების საფუძველზე, ექსპერტმა ა.ზ-იანმა, რომელიც ამ თანამდებობაზე მუშაობდა 2007 წლის 21 მაისამდე, ჩაატარა გვამის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა და სამსახურიდან გათავისუფლების შემდეგ, 2007 წლის 21 ივნისს, გასცა დასკვნა, რომელშიც ისე, რომ არ ჩაუტარებია გვამიდან აღებული სისხლის ქიმიური გამოკვლევა, მის მიერვე მოგონილი ყალბი მონაცემების საფუძველზე აღნიშნა, რომ მასში ალკოჰოლური ან ნარკოტიკული ნივთიერების კვალი არ აღმოჩნდა. თუმცა მოგვიანებით, მისგან დამოუკიდებლად ჩატარებული ქიმიური გამოკვლევით დადგინდა — სისხლში ეთილის სპირტის 1,8%-ის ოდენობით, ხოლო შარდში 3,2%-ის ოდენობით შემცველობა. ა.ზ-იანმა ეს დოკუმენტი, პირადი ხელმოწერით დადასტურებული, ჩააბარა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს აჭარის რეგიონული სამსახურის კანცელარიას — ბათუმის შინაგან საქმეთა სამმართველოს გამომძიებლისათვის გადასაცემად.

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ ქვემდგომმა სასამართლოებმა არასწორად შეაფასეს ა.ზ-იანის ქმედება, როგორც ექსპერტის მიერ ყალბი დასკვნის მიცემა, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 370-ე მუხლის პირველი ნაწილით.

პალატამ განმარტა, რომ აღნიშნული დანაშაულის ჩადენისათვის პასუხისმგებელი პირი, კანონის მიხედვით, წარმოადგენს სპეციალურ სუბიექტს ანუ ისეთ სუბიექტს, რომელიც შესაბამისი კანონმდებლობის საფუძველზე აღჭურვილია სპეციალური უფლებამოსილებებით, რის გარეშეც ამ დანაშაულის ჩადენა შეუძლებელია. მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტი წარმოადგენს სახელმწიფო მოხელეს და აღჭურვილია სპეციალური უფლებამოსილებით – საგამოძიებო ორგანოების დადგენილების ან სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ჩაატაროს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა ცოცხალ ადამიანებსა და გვამებზე, ხოლო სათანადო საფუძვლის არსებობის შემთხვევაში შეადგინოს და გასცეს ექსპერტის დასკვნა, როგორც ოფიციალური დოკუმენტი, თავისი ხელმოწერით.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ ყალბი დოკუმენტის ოფიციალურ სახელმწიფო ორგანოზე გასხვისების მიზანი, თავისი სამართლებრივი მნიშვნელობით, წარმოადგენს იგივე გასაღების მიზანს, რომლითაც მოქმედებდა მსჯავრდებული. მოცემულ შემთხვევაში მის მიერ გაცემული ექსპერტის დასკვნის სიყალბე გამოიხატება არა მხოლოდ იმაში, რომ მან მასში ყალბი მონაცემი შეიტანა, არამედ იმაშიც, რომ აღნიშნული ოფიციალური დოკუმენტი გასცა, როგორც საამისოდ არაუფლებამოსილმა პირმა, რის გამოც, ამ დოკუმენტის რეკვიზიტებიც, არ შეესაბამებოდა რა სინამდვილეს, იყო ყალბი.

მსჯავრდებულის მოქმედების მოტივი ის იყო, რომ რაც შეიძლება სწრაფად გათავისუფლებულიყო იმ საქმისაგან, რომლის გამოც ქ. ბათუმში ყოვნდებოდა და არასასურველ მატერიალურ ზარალს განიცდიდა ამ ქალაქში ცხოვრებისათვის საჭირო ხარჯების გაწევით, თანაც ისეთ პირობებში, როცა იგი შესრულებული სამუშაოსათვის არავითარ ანაზღაურებას არ იღებდა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ა.ზ-იანი მოქმედებდა პირდაპირი განზრახვით.

ამავე დროს, საკასაციო პალატის აზრით, ამ ქმედებით ა.ზ-იანმა ჩაიდინა ყალბი ოფიციალური დოკუმენტის გასაღების მცდელობაც, როდესაც გასაღების მიზნით დამზადებული ყალბი დასკვნა ჩააბარა ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს აჭარის რეგიონული სამსახურის კანცელარიას გამომძიებლისათვის გადასაცემად. აღნიშნული ქმედება წარმოადგენს მცდელობას იმ თვალსაზრისით, რომ: ყალბი დოკუმენტის მიმღები საბოლოო ადრესატი იყო გამომძიებელი, მაგრამ არა ხსენებული სამსახურის კანცელარია, რომელიც მხოლოდ დოკუმენტის შემკვეთისა და შემსრულებლის დამაკავშირებელ რგოლს წარმოადგენდა და აღნიშნული დოკუმენტის მიმართ თავისი დამოუკიდებელი ინტერესი არ გააჩნდა; ამასთან, ყალბი ექსპერტიზის დასკვნა არ გასცილებია კანცელარიის ანუ ექსპერტიზის რეგიონული სამსახურის ფარგლებს, ვინაიდან სწორედ აქ იქნა აღმოჩენილი დანაშაული, რომელიც აღიკვეთა მცდელობის სტადიაზე მანამ, ვიდრე იგი დამთავრებულ სახეს მიიღებდა ყალბი ოფიციალური დოკუმენტის გასაღების სახით.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, პალატამ მიიჩნია, რომ ა.ზ-იანმა ჩაიდინა გასაღების მიზნით ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადება და მისი გასაღების მცდელობა, რის გამოც, მსჯავრდებულის ქმედება საქართველოს სსკ-ის 370-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გადააკვალიფიცირა იმავე კოდექსის 362-ე მუხლის პირველ ნაწილზე და იმავე კოდექსის მე-19 მუხლსა და 362-ე მუხლის პირველ ნაწილზე, ხოლო ჩადენილი დანაშაულისათვის ა.ზ-იანს დაუნიშნა ერთი სასჯელი, ვინაიდან მის მიერ ჩადენილი ქმედებები დაკავშირებულია დანაშაულის ერთსა და იმავე შემთხვევასთან, რომლებსაც მოიცავს სისხლის სამართლის კოდექსის ერთი მუხლის ერთი და იგივე ნაწილი.